კანონთა და მთავრობის განკარგულებათა

კრებული

იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო განყოფილების გამოცემა.

1919 წ. ივნისის 25 № 9 პირველი ნაწილი

13748

შინაარსი:

კან. 67. ხაზინის შემოსავლის გასაძლიერებლად ზოგიერთ ღონისძიების მიღებისა.

„ 68. სამოქალაქო კანონთა კრებულის მე-X ტომის I ნაწილის მე-9 მუხ. და სისხლის სამართლის სასჯელთა დებულების მუ-1665 მუხ. გაუქმებისა.

„ 69. ეპიდემიასთან ბრძოლაში დაღუპულ და შრომის უნარ-დაკარგულ მოსაძსახურეთა და იმათ ოჯახების დახმარებისა.

„ 70. რესპუბლიკის რკინის გზის კატეგორიის გარეშე მყოფ აგენტების ჯამაგირების მომატებისა.

„ 71. დეკრეტი ბორჩალო-ახალქალაქის მაზრებში საერობო ყრილობათა ხმოსნების რიცხვის განსაზღვრისა.

„ 72. სახალხო სკოლის მასწავლებელთათვის ხუთწლეულ დამატებათა დაწესებისა

„ 73. დეკრეტი ახალციხე-ახალქალაქ-არტაანისა და სოხუმ-ახალსენაკის გზატკეცილების შესაკეთებლად 800.000 მან. გადადებისა.

„ 74. დაზარალებულ მეომართა და იმათ ოჯახების დახმარებისა.

„ 75. დეკრეტი ტფილისის ქალაქის თვითმართველობისათვის ათი მილიონი მანეთის სესხის მიცემისა.

„ 76. დეკრეტი საზღვარ-გარეთ ვაჭრობის მოსაწყობ ხარჯისათვის სახელმწიფოს ხაზინიდან 2.000.000 მან. კრედიტის გახსნისა.

Академия наук
Библиотека-Музей

67. კანონი

ხაზინის შემოსავლის გასაძლიერებლად ზოგიერთ ღონისძიების მიღებისა.

I განყოფილება

1. დაწესებულ იქნეს 1919 წლისათვის სახელმწიფო ერთდროული გადასახადი.

2. ერთდროული გადასახადი გაეწეროს ყველა იმ მიწას, რომელზედაც კანონით დადებულია მიწის სახელმწიფო და საბეგრო გადასახადი, საძოვრებსა და ტყეებს გარდა.

3. ერთდროულ გადასახადის რაოდენობას მთელ სოფლისათვის გადასახადთა ინსპექტორი არკვევს შემდეგის წესით: დესეტინაზედ დაწესებულ ერთდროულ გადასახადის საშუალო რაოდენობა, ამ კანონთან დართულ ნუსხაში ნაჩვენები, უნდა გამრავლდეს სათანადო ხარისხის მამულის დესეტინათა რიცხვზე, რომელიც თვითეულ სოფლისათვის საადგილმამულო წიგნებშია აღნიშნული.

4. მთელს სოფელზე გაწერილ გადასახადს გაანაწილებს სოფლის საზოგადოების ან წვრილი ერობის ხმოსანთა ყრილობა ამ სოფლის მიწის მფლობელთა შორის სათითაოდ, იმისდა მიხედვით, თუ ვინ რამდენის და რა შემოსავლიანი მიწით სარგებლობს, ან რას უდრის იმისი სასოფლო მეურნეობის შემოსავალი იმ სოფლის ფარგალში. გარდასახადის განაწილების ოქმი სოფლის კომისარმა უნდა წარუდგინოს გადასახადთა ინსპექტორს დასამტკიცებლად.

5. ერთდროული გადასახადი უნდა შეტანილ იქნეს ხაზინაში სოფლის კომისარის მიერ ორს ვადაზედ: პირველი ნახევარი გადასახადისა 1919 წლის ენკენისთვის პირველზედ არა უგვიანეს, ხოლო მეორე ნახევარი იმავე წლის დეკემბრის 31-ზედ არა უგვიანეს. აღნიშნულ ვადაზედ ხაზინაში შეუტანელი გადასახადი დარჩენილ გადასახადად ჩაითვლება.

შენიშვნა. ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს შესცვალოს, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ამ მუხლით დადგენილი ვადა გადასახადის შეტანისა.

6. მიწის სახელმწიფო გადასახადისათვის დადგენილი წესით უნდა მოხდეს გადასახადის ფურცლების ჩაბარება, ანგარიშის წარმოება და დარჩენილი გადასახადის იძულებით აკრება.

7. თვითეულ მაზრისა ან ოლქიდან შემოსული გადასახადის სამი მეხუთედი ჩაირიცხება ხაზინის შემოსავლად, ხოლო ორი მეხუთედი იმავე მაზრის ან ოლქის ერობის შემოსავლად.

8. ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს ერთდროული გადასახადის გა-

წერის უმახლობელესის წეს-რიგის განსამარტებლად ინსტრუქციები გამოსცეს.

9. სახელმწიფო, საბეგრო და საერობო გადასახადი 1919 წლისა მიწებს არ გადახდება.

II განყოფილება

10. ქალაქების უძრავ ქონებაზედ დაწესებული სახელმწიფო გადასახადი გადიდებულ იქნეს 1919 წლისათვის ამ ქონებათა საშუალო წმინდა შემოსავლის 20%-მდე. შემოსულ გადასახადის ოთხი მეხუთედი ჩაირიცხოს ხაზინის შემოსავლად, ხოლო ერთი მეხუთედი სათანადო მაზრის ერობის შემოსავლად. 1919 წლისათვის ქალაქების უძრავ ქონებას საერობო გადასახადი არ გაეწერება.

11. 1919 წლისათვის გადიდებულ იქნეს ძირითადი სარეწავი გადასახადი, რომელიც აღნიშნულია ამა გადასახადის წესდების მე-449 მუხლთან დართულს სიაში (პირდაპირ გადასახადთა წესდება, 1914 წლის გამოცემა), მე-5 ხარისხის სავაჭრო დაწესებულებისათვის 500%-ით, ხოლო დანარჩენ ხარისხის სავაჭრო, სამრეწველო და პირად სარეწავ საქმიანობისათვის—200%-ით.

12. 1919 წლისათვის გადიდებულ იქნეს 200%-ით თანხის გადასახადი იმ სავაჭრო სამრეწველოსათვის, რომელიც ვალდებულია თავისი ანგარიში გამოაქვეყნოს.

13. 1919 წლისათვის გადიდებულ იქნეს 20%-მდე წმინდა მოგების საპროცენტო გადასახადი იმ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებისათვის, რომელიც ვალდებული არ არის ანგარიში გამოაქვეყნოს.

III განყოფილება

14. 1919 წლიდან სახელმწიფო ძირითადი სარეწავი გადასახადი დაედოს:

ა) მესამე ხარისხის სავაჭრო დაწესებულებისამებრ—სავაჭრო მიზნით ბუნებრივ მადნეულ წყაროების წარმოებას;

ბ) მეორე ხარისხის სავაჭრო დაწესებულებისამებრ—ავტომობილებით გადაყვან-გადაზიდვის ქირით წარმოებას;

გ) სათანადო ხარისხის სამრეწველო დაწესებულებისამებრ—მუშა ხელის რიცხვის კვალობაზედ ყველისა და ერბოს ქარხნებს, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, აგრეთვე ხელობის წარმოებას, შინა-მრეწველობას და სხვათა დაუხმარებლად, ან მხოლოდ თავისი ოჯახის წევრთა დახმარებით გადაყვან-გადაზიდვის ქირით წარმოებას;

დ) მეოთხე ხარისხის პირად სარეწავისამებრ—რკინის გზის შუამავლებს.

15. 1919 წლის პირველ იანვრიდან დაედოს მოგებაზედ საპროცენტო გადასახადი იმ სამრეწველოებისამებრ, რომელიც ანგარიშის გამოქვეყნებას არ არის ვალდებული,—მეოთხე ხარისხის სავაჭროებს, მეშვიდე და მერვე ხარისხის სამრეწველოებს, საბაჟოს ექსპედიტორს, ბირჟის მაკლერსა და ბირჟის ნოტარიუსს.

16. გაუქმდეს პირდაპირ გადასახადთა წესდების (1914 წ. გამოც.) მე-453 მუხ. მე-37 პუნქტის დამატების პირველი შენიშვნა.

IV განყოფილება

17. ღერბის წესდებისა (გადასახადის წესდება, 1914 წლის გამოც., პირველი კარი) და 1914 წლის ოქტომბრის 4-სა და დეკემბრის 16-ს დამტკიცებულ ზოგიერთ გადასახადთა რაოდენობის გადიდების დებულების (კანონდებ. კრებ., კან. მე-2870 და 3544) შესაცვლელადა და დასამატებლად დადგენილ იქნეს შემდეგი:

ა) ორ-მანეთიანი, ერთ-მანეთიანი, 20 კაპ., 15 კაპ., 10 კაპ. და 5 კაპ. ღერბის გადასახადი, რომელიც შემოღებული იყო ღერბის წესდების მე-13, 14, 15, 16, 17, 17[1], 17[2], 18, 20 და 21 მუხ. და 1914 წლის ოქტომბრის 4-ს დამტკიცებულ დებულების მე-VIII ნაწ. 1, 2 და 5 მუხ. ძალით, გადიდებულ იქნეს 100 %-ით;

ბ) სათამასუქო ღერბის გადასახადი დაედოს ღერბის წესდების მე-47 და 48 მუხ. მოხსენებულ აქტებსა (სიგელებსა) და საბუთის ქაღალდებს შიგ აღნიშნულ ყოველ ას მანეთზედ 50 კაპ., ისე-კი, რომ არა-სრული ასი მანეთი სრულად ჩაითვალოს;

გ) სააქტო ღერბის გადასახადი დიდის რაოდენობისა დაედოს იმ სიგელებსა და საბუთის ქაღალდებს, რომელიც დასახელებულია ღერბის წესდების მე-51, 51[1], 52, 53 მუხ., ყოველ ას მანეთზედ ერთი მანეთი და ყოველ ათას მანეთზე, უკეთუ ჯამი ათი ათას მანეთს აღემატება,—ათი მანეთი, ისე-კი, რომ არა-სრული ასი და ათასი მან. სრულად ჩაითვალოს;

დ) სააქტო ღერბის გადასახადი მცირე რაოდენობისა დაედოს იმ სიგელებსა და საბუთის ქაღალდებს, რომელიც დასახელებულია ღერბის წესდების მე-57 და 57[1] მუხ., რა ჯამისაც უნდა იყოს, ყოველ ას მანეთზედ 20 კაპ. და ყოველ ათას მანეთზედ, უკეთუ ჯამი ათი ათასს მანეთს აღემატება,—2 მან. ისე-კი, რომ არა-სრული ასი და ათასი მანეთი სრულად ჩაითვალოს.

18. საქართველოს რესპუბლიკაში თამასუქი უთუოდ ღერბის ქაღალდზედ უნდა დაიწეროს, ხოლო თუ ღერბის ქაღალდი, რომელზედაც თამასუქია დაწერილი, მცირე ღირებულობისაა თამასუქისათვის დაწესებულ გადასახადთან შედარებით, განსხვავების შესავსებად ღერბის მარკები

უნდა დაეკრას, რომელიც შეიძლება გაბათილებულ იქნეს ღერბის წესდებების მე-105 მუხ. აღნიშნულ ერთ-ერთის წესით, გადამხდელის სურვილისამებრ.

19. გადასახად-შეწერილ ყოველ ჯამისა და ყოველ გვარ სიგელისა და საბუთის ქაღალდის ღერბის გადასახადი შეიძლება გადახდილ იქნეს ამ გვარად: ღერბის ქაღალდზედ დაიწეროს იგი, ან დაწერილს ღერბის ქაღალდი დაერთოს, ან ღერბის მარკები დაეკრას, ან ნაღდ ფულად იქნეს შეტანილი, ან რამდენისამე აქ ნაჩვენებ საშუალების ერთად ხმარებით, გადამხდელის სურვილისამებრ, ისე-კი, რომ თუ ნაღდი ფულია შეტანილი, ღერბის წესდების მე-131 მუხ. აღნიშნული წესი იქნეს დაცული.

V განყოფილება.

20. გადასახადთა წესდების (1914 წ. გამოც.) მე-202, 203, 230, 243 და 257 მუხ. ასე შეიცვალოს:

მუხ. 202. გადასახადისაგან თავისუფალია:

ა) ქონება, რომლის ღირებულობა ათას მანეთს არ აღემატება;

ბ) ქონება, რომელიც ხაზინისა, საქველმოქმედო, სამეცნიერო, სამოსწავლო და აღმზდელ-გამასწორებელ საზოგადოებათა და დაწესებულებათა ხელში გადადის;

გ) საოჯახო მოძრავი ქონება (თანხათა გარდა), რომელსაც შემოსავალი არა აქვს და ქონების გადამცემისათვის სავაჭრო ან სარეწავ საგანს არ შეადგენს, უკეთუ საერთო ღირებულობა ამ ქონებისა ათი ათას მან. არ აღემატება.

მუხ. 203. გადასახადი უნდა გადახდეს იმის კვალობაზედ, თუ რა ხარისხის ნათესაური კავშირი არსებობს ქონების გადამცემსა და მიმღებს შორის, და გადაცემულ ქონების ღირებულობის შესაფერ პროცენტებისამებრ, რომელიც ამასთან დართულს ნუსხაშია აღნიშნული.

მუხ. 230. უსასყიდლოდ გადასულ მიწების კანონიერ ფასად ჩაითვლება: საადგილმამულო ბანკის შეფასება გირაოდ მიღების დროს, ნასყიდობის უკანასკნელ სიგელსა და მოწმობაში აღნიშნული ფასი, ანუ ის შეფასება, რომელიც ამასთან დართულ ცხრილშია აღნიშნული, იმისდა მიხედვით, ამ სამში რომელი უმეტესია.

მუხ. 243. სიმტკიცის გადასახადისაგან თავისუფალია:

ა) იმ ქონების ნასყიდობის სიგელი და მოწმობა, რომელიც კერძო მფლობელობიდან სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ სარგებლობისათვის არის შეძენილი (მათ შორის რკინის გზის სიჭიროებისათვისაც) და რომელსაც სახელმწიფო თავის ხარჯით აწარმოებს;

ბ) სიგელი ხაზინის მიერ ქონების საჯარო ვაჭრობით ან მფლობელობის ხანდაზმულობით შეძენისა;

გ) იმ მამულების შეძენის მოწმობა, რომელიც სახელმწიფოს საადგილმამულო ბანკს დარჩენია, და აგრეთვე ამ ბანკების მიერ ნაყიდ და გაყიდულ მიწის სიგელი;

დ) სიგელი იმ მიწისა და ტყის ნაჭრებისა, რომელსაც მთავრობა სოფლის მშრომელ მოსახლეობას გადასცემს, ან ეს მოსახლეობა შეიძენს სხვა საშუალებით, თუ მიწისა და ტყის სივრცე არ აღემატება მშრომელთათვის დადგენილ განსაზღვრულს ნორმას;

ე) იმ მიწების ცალკე წევრთა შორის განაწილების სიგელი, რომელიც სოფლის საზოგადოებასა და კოოპერატივს ეკუთვნის;

ვ) აქტი, რომლითაც ქონება შეძენილია ხაზინისა, ეროობისა, ქალაქისა და სოფლის თვითმართველობისაგან საქველმოქმედო, სამეცნიერო და საალმზრდელო მიზნებისათვის.

შენიშვნა ვ პუნქტისა. ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს სიმტკიცის გადასახადისაგან განათავისუფლოს ის აქტები, რომლითაც ქონება შეძენილია, ან გაცვლილი ვ პუნქტში აღნიშნულ მიზნისათვის საქველმოქმედო, სამოსწავლო, საალმზრდელო საზოგადოებისა და დაწესებულების მიერ.

მუხლ 257. მამულის გადასვლის სიგელში რაოდენობა მიწისა უეჭველად უნდა იყოს აღნიშნული იმ საზომის ერთეულით, რომელიც რესპუბლიკაშია შემოღებული, ხოლო ფასი ამ ერთეულისა უნდა აღირიცხოს მე-230 მუხ. აღნიშნულ კანონიერ შეფასების კვალობაზედ.

21. გაუქმდეს გადასახადთა წესდების (1914 წ. გამოც.) მე-243 მუხ. შენიშვნა და მე-245, 246, 247, 247[1], 248, 251, 251[1] და 252 მუხ.

22. სახელმწიფოს ხაზინიდან გაღებულ იქნეს 75.000 მან. სახელმწიფოს ერთდროულ გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებულ ხარჯის დასაფარავად.

23. კანონი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. მაისის 27.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დამატება კანონის მე-2 მუხლისა.

ნუსხა

დესეტინაზედ დაწესებულ სახელმწიფო ერთდროულ გადასახადისა.

№№ რიგზე	სახელწოდება მაზრისა (ოლქ.) და ადგილის მდებარეობისა	ერთ დესეტინაზედ დაწესებულ გადასახადის რაოდენობა მანეთობით							შენიშვნა
		სამოსახლო ადგილი	სარწყავი სათესი მიწა	ურწყავი სათესი მიწა	საენახე და ზეერელი საბინელ-საენახე ბაღები	ხეხილის ბაღები	სარწყავი სათიბი ადგილები	ურწყავი სათიბი ადგილები	
1	**ტფილისის მაზრა.**								სამოსახლო ადგილი ზემოსავლის მხრივ გათანასწორებულია მაღალ ხარისხის ურწყავ სათეს ადგილებთან, საბოსტნე—დაბალ ხარისხის საენახე ბაღებთან, საოთუუნე-კი-მაღალ ხარისხის სარწყავ სათეს ადგილებთან.
	დაბლობი ადგილი . . .	1 ხ. 25	120	80	—	—	—	—	
	საშუალო „	2 ხ. 15	90	60	90	90	20	15	
	მთიანი „	—	—	50	—	—	—	—	
2	**ბორჩალოს მაზრა.**								
	დაბლობი ადგილი . . .	—	150	75	135	135	—	—	
	საშუალო „	—	120	75	65	65	20	15	
	მთიანი „	—	120	35	—	—	—	—	
	მაღალ მთიანი	—	—	35	—	—	—	—	
3	**გორის მაზრა.**								
	დაბლობი ადგილი . . .	1 ხ. 70	120	90	1 ხ. 115	175	—	15	
	მთის კალთა	2 ხ. 20	60	45	2 ხ. 90	85	—	10	
	მთიანი ადგილი	10	—	25	3 ხ. 70	45	—	10	
4	**დუშეთის მაზრა.**								
	დაბლობი ადგილი . . .	—	90	60	—	—	—	—	
	მთის კალთა	—	—	60	70	—	—	15	
	მთიანი ადგილი	—	—	45	—	—	—	—	
	მაღლობი „ . . .	—	—	25	—	—	—	—	
5	**სიღნაღის მაზრა.**								
	ალაზანის მიდამო . . .	—	150	45	1 ხ. 135	85	—	—	
	იორის „ . . .	—	150	90	2 ხ. 115 3 ხ. 70	—	—	15 —	
6	**თელავის მაზრა** . .	—	135	60	1 ხ. 135	85	—	—	
7	**თიანეთის მაზრა**								
	დაბლობი ადგილი . .	—	70	60	115	—	—	15	
	საშუალო „ . . .	—	—	45	—	—	—	—	
	მთიანი ადგილი	—	—	25	—	—	—	—	
8	**ზაქათალის მაზრა.**								
	დაბლობი ადგილი . . .	—	150	75	—	—	—	—	
	ველი	—	—	45	70	90	—	10	
	მთიანი ადგილი	—	—	45	—	—	—	—	

1919 წ. მაისის 27.

ადგილის ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

№ 9

დამატება კანონის მე-2 მუხლისა.

ნუსხა

დესეტინაზედ დაწესებულ სახელმწიფო ერთდროულ გადასახადისა.

№№ რიგზე	სახელწოდება მაზრისა (ოლქისა)	ერთ დესეტინაზედ დაწესებულ გადასახადის რაოდენობა მანეთობით									შენიშვნა
		ურწყავი მიწა			ვენახები			ხეხილის ბაღები	ბაღნა	თამბაქოს პლანტაც.	
		1 ხარ.	2 ხარ.	3 ხარ.	1 ხარ.	2 ხარ.	3 ხარ.				
1	ქუთაისის მაზრა	100	70	30	115	75	45	—	100	—	რაჭის მაზრის საბოლოოდ და სათიბი მიწები სათანადო ხარისხის სახნავ მიწებს ეფლის.
2	ზუგდიდის მაზრა	100	80	40	60	—	—	—	100	100	
3	ლეჩხუმის მაზრა	50	30	15	100	50	—	—	—	—	
4	ოზურგეთის მაზ.	90	60	30	90	40	—	—	—	100	
5	რაჭის მაზრა . .	50	30	15	120	60	30	—	—	—	
6	სენაკის მაზრა .	100	80	30	100	40	—	—	100	—	
7	შორაპნის მაზრა	70	45	20	115	60	40	—	—	—	
8	სოხუმის ოლქი .	125	105	50	90	70	40	120	80	125	

1919 წ. მაისის 27.

ადგილს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დამატება გადასახადთა წესდების
მე-203 მუხლისა.

ცხრილი

მიწის კანონიერ შეფასებისა გადასახადის გამოსაანგარიშებლად.

სახელწოდება ადგილისა	შეფასება ერთის დესეტინისა მანეთობით					შენიშვნა
	ბენახები, ხეხილის ბაღები და ბოსტნები.	თუთუნის პლანტაციები.	სარწყავი სახნავი მიწები.	ურწყავი სახნავი მიწები და საძოსახლო და სათესი ადგილები	საძოვ. ადგილ. და ტყეები.	
ტფილისის გუბერნია:						
მაზრები: ბორჩალოსი	1500	—	190	110	17	
გორისა	1700	—	215	120	19	
დუშეთისა	860	—	110	60	10	
სიღნაღისა	2400	—	305	175	28	
თელავისა	2700	—	640	195	31	
ტფილისისა	1550	—	195	110	18	
თიონეთისა	650	—	80	45	7	
ქუთაისის გუბერნია:						
მაზრები: ზუგდიდისა	1460	—	—	215	15	
ქუთაისისა	2100	—	—	310	21	
ლეჩხუმისა	800	—	—	50	3	
ოზურგეთისა	1350	—	—	195	13	
რაჭისა	900	—	—	135	9	
სენაკისა	1100	—	—	170	11	
შორაპნისა	1800	—	—	260	18	
სოხუმის ოლქი	750	1650	—	280	23	

თუთუნის პლანტაციები შეფასებულია: ტფილისის გუბერნიისთვის სარწყავ-სათეს მიწასთან შედარებით და ქუთაისის გუბერნიაში ურწყავ სათეს მიწებთან შედარებით.

1919 წ. მაისის 27.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების
თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დამატება გარდასახადთა
წესდების მე-203 მუხლისა.

ნუსხა

უსასყიდლოდ გადაცემულ მამულების გადასახადის რაოდენობისა.

№№ რიგზე	სახელწოდება პირთა, რომლებზედაც გადადის ქონება.	ქონების ღირებულობა მანეთობით.				
		1000 მ. ზევით 10000 მ-დე.	10000 მ. ზევით 30000 მ-დე.	30000 მ. ზევით 60000 მ-დე.	60000 მ. ზევით 100000 მ-დე.	100000 მ. ზ-ი 150000 მ-დე.
	ნათესაური კავშირი	რაოდენობა გადასახადისა:				
1	მეუღლენი, ნათესავნი აღმავალნი და ჩამომავალნი, ნაშვილებნი და შვილების მეუღლენი	3%	3,5%	4%	4,5%	5%
2	გერები, ძმანი და დანი (ღვიძლნი, მამით ერთნი და დედით ერთნი) და გარდაცვლილ დისა და ძმის შვილები. . .	6%	7%	8%	9%	10%
3	გვერდის შტოს მესამე და მეოთხე ხარისხის სხვა ნათესავნი	9%	10,5%	12%	13,5%	15%
4	დანარჩენნი	12%	14%	16%	18%	20%

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. 150.000 მანეთზე მეტად ღირებულ ქონების გადასახადი აღირიცხება მთელის ღირებულობის შესაფერად იმ ზომით, რომელიც ნუსხით დაწესებული არის 100000 მანეთიდან 150000 მანეთამდე ღირებულ ქონებისათვის და, ამას გარდა, თვითეულ 50000 მან., რომელიც აღემატება 150000 მან., დამატებით უნდა იქნეს გამოანგარიშებული შემდეგი რაოდენობა: ქონება, რომელიც გადადის 1 ჯგუფში აღნიშნულ პირის ხელში—0,5%, 2-ში—1%, 3-ში—1,5% და 4-ში—2%.

1919 წ. მაისის 27.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

68. კ ა ნ ო ნ ი

სამოქალაქო კანონთა კრებულის მე-X ტომის I ნაწილის მე-9 მუხ. და სისხლის სამართლის სასჯელთა დებულების მე-1665 მუხ. გაუქმებისა.

გაუქმებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძალა სამოქალაქო კანონთა კრებულის მე-X ტომის I ნაწილის მე-9 მუხლისა, სისხლის სამართლის სასჯელთა დებულების მე-1665 მუხლისა და აგრეთვე სამხედრო და სამხედრო-საზღვაო კრებულში მოთავსებულ იმ დადგენილებისა, რომელიც ხმელეთისა და საზღვაო ჯარში მყოფ მოსამსახურის დაქორწინებისათვის მოითხოვს მისის უფროსის ან მთავრობის ნებართვას და ამის აუსრულებლობისათვის მის დასჯას.

1919 წ. მაისის 30.

ღედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

---

69. კ ა ნ ო ნ ი

ეპიდემიასთან ბრძოლაში დაღუპულ და შრომის უნარ-დაკარგულ მოსამსახურეთა და იმათ ოჯახების დახმარებისა.

1. ყოველს ექიმს, რომელიც მთავრობის მიერ გაგზავნილი იქნება ეპიდემიასთან საბრძოლველად და თავისი პირდაპირი მოვალეობის ასრულების გამო შრომის უნარს სრულიად დაჰკარგავს ეპიდემიასთან ბრძოლის დროს, და აგრეთვე ექიმის ოჯახობას, თუ ოჯახის მარჩენელი დაიღუპება, მიეცეს ერთდროულ დახმარებად თხუთმეტი ათასი (15.000) მან.

2. ფერშალს, მოწყალების დას, სპეციალისტ-მედეზინფექციეს, სანიტარს და აგრეთვე მათ ოჯახებს, პირველ მუხლში აღნიშნულ შემთხვევაში მიეცეს ერთდროულ დახმარებად ათი ათასი (10.000) მან.

1919 წ. მაისის 30.

ღედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

---

70. კანონი

რესპუბლიკის რკინის გზის კატეგორიის გარეშე მყოფ აგენტების ჯამაგირების მომატებისა.

I. 1919 წლის იანვრის 1-დან მოემატოს ჯამაგირი რკინის გზის ქვემო აღნიშნულ მოხელეთ:

1) საუბნო და საამბულატორო ექიმებს;

2) ორდინატორებს, საშუალო ცეხების გამგეს;

3) დოსტაქარს, პროზექტორს, სათადარიგო ექიმს, იურისკონსულტის უმცროსს თანაშემწეს;

4) სამოძრაო ნაწილის პირად შემადგენლობის უფროსს, სამოძრაო ნაწილის განყოფილებათა უფროსს, სასანიტარო ექიმს;

5) საკომერციო ნაწილის რევიზორ-ინსტრუქტორს, იურისკონსულტის უფროსს თანაშემწეს, საავადმყოფოს გამგეს, სალიანდაგო და შენობათა ნაწილის მიწათა გამფარგლავ აგენტს, მოძრაობის რევიზორს, პირველ კლასის უფროსს, დიდი ცეხების გამგეს, სალიანდაგო შენობათა ნაწილის ბუხჰალტერს, საშემოსავლო ნაწილის აღმრიცხველ-საანგარიშო განყოფილების უფროსს, გზათა სამართველოს მდივანს;

6) სამოძრაო ნაწილის ბუხჰალტერს, მთავარ ბუხჰალტერის უმცროსს თანაშემწეს, სამეხანიკო ნაწილის ბუხჰალტერს, მოძრაობის უფროსს რევიზორს;

7) საშემოსავლო ნაწილის უფროსის თანაშემწეს, სალიანდაგო და შენობათა ნაწილის უბნის უფროსს, რომელსაც საშუალო ან მცირედი ჯამაგირი ეძლევა; სამოძრაო ნაწილის ტეხნიკურ-განმანაწილებელ განყოფილების გამგეს, საელექტრონო ნაწილის უფროსს, სამეხანიკო ნაწილის სავაგონო განყოფილების უფროსს, სამეხანიკო ნაწილის ტეხნიკურ განყოფილების უფროსს, სამეხანიკო ნაწილის უბნის უფროსს, მთავარ ბუხჰალტერის პირველ თანაშემწეს, სამასალო განყოფილების უფროსს, საექიმო ნაწილის უფროსს, ორთქლმავალთა განყოფილების უფროსს, სალიანდაგო და შენობათა ნაწილის უფროსს ინჟენერს სატეხნიკო მეცადინეობისათვის, მთავარ სახელოსნოთა უფროსის თანაშემწეს, სალიანდაგო და შენობათა ნაწილის ტეხნიკურ განყოფილების უფროსს, ნავთსადენის ნაწილის უფროსის თანაშემწეს;

8) ტელეგრაფის გამგეს, სამოძრაო ნაწილის უფროსის თანაშემწეს, გზათა უფროსთან განსაკუთრებულ მინდობილობათა ინჟენერს, სალიანდაგო და შენობათა ნაწილის უბნის უფროსს, რომელსაც უდიდესი ჯამაგირი ეძლევა;

9) იურისკონსულტს, სალიანდაგო და შენობათა ნაწილის უფროსის თანაშემწეს, საკომერციო ნაწილის უფროსს;

10) საშემოსავლო ნაწილის უფროსს, ნავთსადენის ნაწილის უფროსს, მთავარ ბუხჰალტერს;

11) მთავარ სახელოსნოთა უფროსს, საშემოსავლო ნაწილის უფროსს;

12) გზათა უფროსის თანაშემწეს, სამეხანიკო ნაწილის უფროსს, სალიანდაგო და შენობათა ნაწილის უფროსს;

13) გზათა უფროსს.

II. ეს მომატება ჯამაგირისა მოხდება შემდეგის რაოდენობით:

1.	ვინც	იღებს	8214	მან.—	8480	მან-დე	ოცდარვა	პროცენტი	28 %
2.	„	„	8481	„	8680	„	ოცდაშვიდი	„	27 „
3.	„	„	8681	„	9005	„	ოცდაექვსი	„	26 „
4.	„	„	9006	„	9485	„	ოცდახუთი	„	25 „
5.	„	„	9486	„	10005	„	ოცდათხი	„	24 „
6.	„	„	10006	„	10345	„	ოცდასამი	„	23 „
7.	„	„	10346	„	10980	„	ოცდაორი	„	22 „
8.	„	„	10981	„	11480	„	ოცდაერთი	„	21 „
9.	„	„	11481	„	12140	„	ოცი	„	20 „
10.	„	„	12141	„	12936	„	ცხრამეტი	„	19 „
11.	„	„	12937	„	14680	„	თვრამეტი	„	18 „
12.	„	„	14681	„	15780	„	თხუთმეტი	„	15 „
13.	„	„	15781	„	21780	„	თერთმეტი	„	11 „

III. გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან ამ კანონის მეორე მუხლში აღნიშნულ ხარჯის დასაფარავად 1919 წ. იანვრის 1-დან მაისის 1-მდე ოთხმოცდაშვიდი ათას სამას სამოცი (87.360) მანეთი.

1919 წ. მაისის 30.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

ъ 233
1919

75. დეკრეტი

ტფილისის ქალაქის თვითმართველობისათვის ათი მილიონი მანეთის სესხის მიცემისა.

1. მიეცეს ტფილისის ქალაქის თვითმართველობას სახელმწიფოს ხაზინიდან სესხად ათი მილიონი მანეთი ათის წლის ვადით წლიურად 5 პროცენტის სარგებლისა და ერთი მილიონი თავნის გადახდით. ამ სესხის უზრუნველსაყოფელად მიღებულ იქნეს გირაოდ ქალაქის უძრავი ქონება.

2. გაეხსნას მთავრობას ათი მილიონი მანეთის კრედიტი პირველ მუხლში აღნიშნულ სესხის გასაცემად.

3. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. ივნისის 10.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

---

76. დეკრეტი

საზღვარ-გარეთ ვაჭრობის მოსაწყობ ხარჯისათვის სახელმწიფოს ხაზინიდან 2.000.000 მან. კრედიტის გახსნისა.

1. გადაიდოს სახელმწიფოს ხაზინიდან მთავრობის განკარგულებაში ორი მილიონი (2.000 000) მან. საზღვარ-გარეთ ვაჭრობის მოსაწყობად.

2) დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. ივნისის 13.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკა-მუზეუმი